გურანდა ჭელიძე

ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, ჟან მონეს პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის ირაკლი წერეთლის სახელობის NATO-ს კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური და სამეცნიერო მუშაობის 30 წლიანი გამოცდილება; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელის, ასევე ევროინტეგრაციის სფეროში ტრენერად მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება; იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

არის 50 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი საქართველოსა და ევროპის ისტორიაში, მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის, სხვადასხვა ტრენინგისა და სამუშაო შეხვედრის მონაწილე.

საგრანტო პროექტებში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილებით: კავკასიის უნივერსიტეტის საგრანტო პროექტის „საქართველო - 90-იანები და შემდეგ“ ავტორი და კოორდინატორი; Tempus და Erasmus+ პროექტების (თანაავტორი), მათ შორის: ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) ექსპერტი და კოორდინატორი; ჟან მონეს პროექტის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ექსპერტი; ჟან მონეს მოდულის „სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია

საქართველოში“ (EU-LP-GE) პროფესორი, ტემპუსის პროგრამის „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობა“ (EIGER) ექსპერტი და პროფესორი; ფრიდრიხ ებერტის ფონდის ექსპერტი ევროკავშირის პოლიტიკის პროექტებში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ორგანიზაციის - COST სხვადასხვა პროექტის მმართველი კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის წევრი,

მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებით განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში - ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი, ექსპერტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით.